N2696 2015 წლის 14 დეკემბერი ქ. თბილისი

სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ზოგიერთი ღონისძიების გატარების თაობაზე

1. დაევალოს სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან უზრუნველყოს 60 000 (სამოცი ათასი) ლარის გამოყოფა სს „ქართული ფილმისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202054196) გადასაცემად, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის დამზადების უზრუნველყოფის მიზნით.

2. ეთხოვოს სს „ქართულ ფილმს“, 2015 წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია ამ განკარგულებით გამოყოფილი თანხის მიზნობრიობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**